# საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული გამოცდების ცენტრის დებულება

---

# ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება

თბილისი, 2007

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული გამოცდების ცენტრის დებულება

**დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით, გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2007 წლის 13 თებერვლის მე-20 ნომერში**

თბილისი, 2007

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

**1.** საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ეროვნული გამოცდების ცენტრი" (შემდგომში — ცენტრი) არის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში — სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

**2.** ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, "უმაღლესი განათლების შესახებ", "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

**3.** ცენტრი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

**4.** ცენტრი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

**5.** ცენტრს აქვს ბეჭედი, დამოუკიდებელი ანგარიში ბანკში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

**6.** ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. N60.

## მუხლი 2. ცენტრის მიზნები, საქმიანობის საგანი და მოვალეობები

**1.** ცენტრის მიზანია:

ა) უზრუნველყოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

ბ) მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციები მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების სანდო და ობიექტური მეთოდებით შესაფასებლად, აგრეთვე, განახორციელოს სასწავლო პროცესის შეფასება და რეკომენდაციების მიწოდება სამინისტროსათვის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

გ) მიიღოს მონაწილეობა მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო შეფასებაში;

დ) განავითაროს და გამოიკვლიოს განათლების სისტემაში შეფასების სფერო;

ე) ჩაატაროს მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო შეფასებები, შეაგროვოს მო-

ნაცემები და განახორციელოს მათი ანალიზი;

ვ) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ამზადებს ან/და ატარებს სასწავლო წლის დამამთავრებელ გამოცდებს საჯარო სკოლასთან შეთანხმებით და ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის დაძლევის გამოცდებს;

ზ) უზრუნველყოს ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი გამოცდების ჩატარება;

თ) უზრუნველყოს სამაგისტრო გამოცდებისათვის საჭირო ტესტების მომზადება და გამოცდების ჩატარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განათლების სისტემაში შეფასების სფეროს განვითარება და კვლევა.

**2.** თავისი მიზნების მისაღწევად ცენტრი:

ა) უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასა და ჩატარებას;

ბ) ყოველწლიურად ამზადებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ავრცელებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებს, ტესტების კრებულებს, ანალიზს უკეთებს

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, ამზადებს საინფორმაციო ბუკლეტებს;

გ) ქმნის, ავრცელებს და ყიდის მეთოდურ სახელმძღვანელოებსტესტირებაში,ფსიქომეტრიკაში, აგრეთვე სასწავლო  და საგანმანათლებლო ლიტერატურას;

დ) უზრუნველყოფს ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების გზით საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასის გამოცდების ჩატარებას ეროვნული სასწავლო გეგმისა და ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების შესაბამისად;

ე) თავისი საქმიანობის ფარგლებში მომსახურებას უწევს უმაღლეს, ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აგრეთვე საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით ასრულებს სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების შეკვეთებს, დებულებით დადგენილი მიზნების მისაღწევად შეიმუშავებს და დებს ხელშეკრულებებს საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) თავისი საქმიანობის ფარგლებში მომსახურებას უწევს უმაღლეს, ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასრულებს სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების შეკვეთებს;

ზ) ფინანსურად უზრუნველყოფს და ორგანიზებას უწევს სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების მოწყობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

თ) საგანმანათლებლო რეფორმის და პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით თანამშრომლობს საქართველოს სამინისტროებთან, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან;

ი) მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო რეფორმასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში საქართველოს მოსახლეობის, სამინისტროების, დონორების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო რეფორმის მიზნების განხორციელებას;

კ) განახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ეფექტურად და ეკონომიურად, უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობას;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით ფლობს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით შემოსავლების მიღებისა და თავისი მიზნების მისაღწევად ამ შემოსავლების გამოყენების უფლებას;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 3. ცენტრის მართვა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი (შემდგომში — დირექტორი), რომელსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. დირექტორი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება ცენტრის წარმომადგენლობა. დირექტორი პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მინისტრის ბრძანებების და დავალებების შესრულებაზე.

3. დირექტორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. ცენტრის მუშაკთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მათთან დადებული ხელშეკრულებით.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით დირექტორი მინისტრს შესათანხმებლად წარუდგენს ცენტრის საშტატო განრიგს. დირექტორი ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს, რომლის დაცვა ევალება ცენტრის თითოეულ თანამშრომელს.

5. დირექტორი უზრუნველყოფს ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლს.

**6.** დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

**7.** დირექტორი სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, ცენტრის საქმიანობის სრულყოფის შესახებ.

**8.** სამინისტროს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს.

**9.** შვებულების, სამსახურებრივი მივლინების ან მის მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევების დროს დირექტორი თავისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს ცენტრის რომელიმე თანამშრომელს.

## მუხლი 4. ცენტრის ფულადი სახსრები

**1.** ცენტრის შემოსავლები ყალიბდება შემდეგი სახსრებით:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) მიზნობრივი გრანტები;

გ) საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

**2.** ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის

მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

## მუხლი 5. სახელმწიფო კონტროლი ცენტრის საქმიანობაზე

**1.** ცენტრის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რაც გულისხმობს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

**2.** ამ მუხლით დადგენილი კომპეტენციების შესაბამისად მინისტრი უფლებამოსილია ცენტრისაგან გამოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

**3.** ცენტრმა სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

**4.** ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

**5.** ცენტრს უფლება არა აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს), დააგირაოს, იპოთეკით ან სხვაგვარად დატვირთოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან (მესაკუთრესთან) შეუთანხმებლად.

**6.** სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

## მუხლი 6. ცენტრის ქონება

ცენტრს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც ცენტრის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

## მუხლი 7. ცენტრის ანგარიშგება

1. ცენტრი ვალდებულია სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში.

2. ცენტრი ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ცენტრის წლიურ ბალანსს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით, ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

## მუხლი 8. ცენტრის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. ცენტრის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე. თუ ეს მოთხოვნა დაცული არ არის, ცენტრი აგრძელებს არსებობას.

3. ცენტრის ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს სამინისტრო. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს ცენტრის ხელმძღვანელი.

4. ლიკვიდატორები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლიკვიდატორების საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით.

**5.** ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მინისტრის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის N127 ბრძანებით, გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2005 წლის 1 აპრილის 37-ე ნომერში

# თავი I. ზოგადი დებულებანი

## მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

*(29.06.2006 N 641)*

დებულება არეგულირებს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) ჩარიცხვისა და აბიტურიენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების პირობებს, აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზაციის საკითხებს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აბიტურიენტთა რაიონული სარეგისტრაციო პუნქტი (შემდგომში – სარეგისტრაციო პუნქტი) – ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის მიზნით, ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან რესურსცენტრში სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი განცალკავებული შენობა ან მისი ნაწილი; *(29.06.2006 N 641)*

ა1) აკრედიტებული სტუდენტი (შემდგომში – სტუდენტი) — სტუდენტი, რომელიც სწავლობს იმ უმაღლეს საგანმანათლე-

ბლო დაწესებულებაში, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიენიჭა აკრედიტაცია ან სტუდენტი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი პროგრამა ეთვლება აკრედიტებულად, აგრეთვე სტუდენტი, რომლის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამები და მიღწეული შედეგები ცნობილ იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ; *(29.06.2006 N 641)*

ბ) გამოცდის ადმინისტრატორი (შემდგომში — ადმინისტრატორი) — საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ1) გამოცდის ადმინისტრატორის თანაშემწე (შემდგომში – ადმინისტრატორის თანაშემწე) – პირი, რომელიც კურირებას უწევს და თვალყურს ადევნებს საგამოცდო სექტორებში საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას; *(29.06.2006 N 641)*

“ბ2) გამოცდის კოორდინატორი (შემდგომში – კოორდინატორი) – პირი, რომელიც ასრულებს გამოცდის ადმინისტრატორის მოადგილის უფლებამოვალეობას და კოორდინაციას უწევს საგამოცდო სექტორის მეთვალყურეთა მუშაობას; *(29.06.2006 N 641)*

გ) ამოღებულია *(29.06.2006 N 641)*

დ) გამსწორებელი — ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე კონკურსის წესით აყვანილი საგნის სპეციალისტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი ტრენინგი და უფლებამოსილია გაასწოროს აბიტურიენტთა საგამოცდო ტესტები;

ე) დამკვირვებელი — საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ამ დებულებით დადგენილი წესით ეროვნული გამოცდების ცენტრმა მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი; *(29.06.2006 N 641)*

ვ) დამკვირვებლის რეგისტრაცია — ამ დებულებით დადგენილი პროცედურა, რომლის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება პირისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ; *(29.06.2006 N 641)*

ზ) სწავლების ენა — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენის მიხედვით (ქართული, რუსული, ინგლისური და სხვა) დიფერენცირებული საგანმანათლებლო პროგრამები; *(29.06.2006 N 641)*

თ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება — ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო დაწესებულება (ზოგად-საგანმანათლებლო, პროფესიული, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო), რომელიც ახორციელებს სრულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას;

თ1) საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემ-

დგომში – რესურსცენტრი) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო; *(29.06.2006 N 641)*

თ2) ლოგისტიკის ჯგუფი – ეროვნული გამოცდების ცენტრის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე; *(29.06.2006 N 641)*

ი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი — თითოეულ საგამოცდო საგანში დადგენილი ქულათა მინიმალური ოდენობა, რომლის გადალახვაც აბიტურიენტისათვის აუცილებელია რანჟირების დოკუმენტში მოსახვედრად, სახელმწიფო სასწავლო გრანტისა ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისფაკულტეტზესწავლისგაგრძელების უფლების მოსაპოვებლად; *(24.11.2005 N639)*

ი1) რანჟირება აბსოლუტური ქულით – ამ დებულებით დადგენილი წესით აბიტურიენტის მიერ ერთიან ეროვნული გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული სკალირებული ქულის (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი) შედეგად მოპოვებული ქულების მიხედვით დადგენილი ჩამონათვალი, რომლითაც ირკვევა, თუ რომელმა აბიტურიენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხვის შემთხვევაში; *(29.06.2006 N 641)*

კ) საპრეტენზიო საბჭო — აბიტურიენტთა საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური აქტით შექმნილი საგნობრივი ქვეკომისიებისაგან შემდგარი დროებითი ორგანო;

ლ) საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფი — ეროვნული გამოცდების ცენტრის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო პროცესის პროგრამულ უზრუნველყოფაზე; *(29.06.2006 N 641)*

მ) საგნობრივი ქვეკომისიები — საპრეტენზიო საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც იქმნება საგამოცდო საგნების მიხედვით;

ნ) საგამოცდო სექტორი — საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, რომელშიც აბიტურიენტები განთავსდებიან გამოცდების მიმდინარეობისას;

ო) საგამოცდო სექტორის კურატორი (შემდგომში – კურატორი) — ეროვნული გამოცდების ცენტრის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც საგამოცდო სექტორის ფარგლებში კურირებას უწევს გამოცდების ჩატარების პროცესს; *(29.06.2006 N 641)*

ო1) საგამოცდო სექტორის მეთვალყურე (შემდგომში – მეთვალყურე) — ეროვნული გამოცდების ცენტრის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც საგამოცდო სექტორის ფარგლებში მეთვალყურეობას უწევს გამოცდების ჩატარების პროცესს; *(29.06.2006 N 641)*

პ) საგამოცდო ცენტრი — ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზნით, ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი განცალკევებული შენობა ან მისი ნაწილი;

ჟ) საგამოცდო ცენტრის რეგისტრატორი (შემდგომ – რეგისტრატორი) — პირი, რომელიც საგამოცდო ცენტრში ახორციელებს აბიტურიენტთა რეგისტრაციას და ეხმარება საგამოცდო პროცესის ადმინისტრირებაში მონაწილე პირებს გამოცდების პროცესში წამოჭრილი ორგანიზციული საკითხების გადაწყვეტაში; *(29.06.2006 N 641)*

რ) საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი — ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული მოწმობა, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტი დაიშვება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;

რ1) ამოღებულია *(29.06.2006 N 641)*

ს) სკალირებული ქულა — აბიტურიენტის მიერ თითოეული საგნის საგამოცდო ტესტში მიღებული ქულა, ტესტის ფსიქომეტრული პარამეტრების მიხედვით განთავსებული ერთ საერთო სტანდარტულ სკალაზე;

ტ) სახელმწიფო სასწავლო გრანტი — სახელმწიფოს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს

მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად;

ტ1) საგამოცდო ტესტი — საგამოცდო საგნების მიხედვით გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი; *(29.06.2006 N 641)*

უ) ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალი — აბიტურიენტის მიერ საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათში პრიორიტეტების მიხედვით მითითებული იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ფაკულტეტების ნუსხა, რომლებზეც სურს სწავლის გაგრძელება; *(24.11.2005 N639)*

ფ) ტექნიკური კონტროლი — საგამოცდო პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით.

## მუხლი 3. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით დგინდება იმ აბიტურიენტთა ნუსხა:

ა) რომელთაც მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა; *(29.06.2006 N 641)*

ბ) რომელთაც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამა თუ იმ ფაკულტეტზე. *(24.11.2005 N639)*

## მუხლი 4. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ფორმა

**1.** ერთიანი ეროვნული გამოცდა ტარდება წერილობით, საგამოცდო ტესტების მეშვეობით, რომელთა შექმნას და საგამოცდო ცენტრებამდე მიტანას უზრუნველყოფს ეროვნული გამოცდების ცენტრი მათი სრული კონფიდენციალობის დაცვით.

**2.** თითოეული საგამოცდო ტესტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

**3.** აბიტურიენტების მიერ თითოეული საგნის საგამოცდო ტესტში მიღებული შეფასება (ქულები) ტესტის ფსიქომეტრული პარამეტრების მიხედვით განთავსდება ერთ საერთო, სტანდარტულ სკალაზე, რის შედეგადაც მიიღება აბიტურიენტის ,,სკალირებული ქულა" ამ საგამოცდო საგანში.

**4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების საფასური მოიცავს: *(29.06.2006 N 641)*

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურს, რომლის ოდენობაც თითოეულ საგანში შეადგენს 10 ლარს;

ბ) აბიტურიენტის ინიციატივით საგამოცდო ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასურს, რომლის ოდენობაც თითოეულ საგანში შეადგენს 30 ლარს.

**5.** ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული თანხების შეტანა ხდება ეროვნული გამოცდების ცენტრის საბანკო ანგარიშზე.

**5.1.** ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდისას, აბიტურიენტის მიერ ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნების შესახებ ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილი განაცხადის მიღება ხდება რეგისტრაციის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, განაცხადში უნდა მიეთითოს დასაბრუნებელი თანხა, ვადა და თანხის მიღების ადგილი. განაცხადების მიღების დასრულებიდან თანხები გაიცემა განაცხადში მითითებულ ვადებში. *(29.06.2006 N 641)*

**6.** იმ შემთხვევაში, თუ საგამოცდო ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე შეიცვლება საგამოცდო ტესტის შეფასება, აბიტურიენტს უკან უბრუნდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა. საფასურის დაბრუნების შესახებ წერილობითი მოთხოვნა უნდა გაკეთდეს ამ მუხლის მე-51 პუნქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში, რომელიც აითვლება საპრეტენზიო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან. *(29.06.2006 N 641)*

## მუხლი 5. საგნები, რომლებშიც ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები *(24.11.2005 N639)*

**1.** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია სამი გამოცდის ჩაბარება.

**2.** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების

ენისა) ყველა აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, აბიტურიენტის არჩევით ერთ-ერთი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და ზოგადი უნარები. *(29.06.2006 N 641)*

**3.** კონკრეტული ფაკულტეტის აბიტურიენტთათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აირჩიოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები შემდეგი ჩამონათვალიდან: ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია).

**4.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია კონკრეტული ფაკულტეტის აბიტურიენტთათვის მე-3 პუნქტში აღნიშნული გამოცდებიდან აირჩიოს ერთი ან ორი გამოცდა. უკანასკნელ შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია ორი გამოცდიდან ჩააბაროს ერთ-ერთი, რომელსაც თავად ირჩევს.

**5.** ორი დამატებითი გამოცდის არჩევის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტის ფარგლებში, ადგენს თითოეული დამატებითი გამოცდაგავლილი აბიტურიენტების მინიმალურ კვოტას, რომელიც არ უნდა იყოს მისაღები კონტინგენტის 20%-ზე ნაკლები.

**6.** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ

ფაკულტეტზე ერთზე მეტი სპეციალობაა, სტუდენტების გადანაწილება სპეციალობებზე განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მათი განცხადებების საფუძველზე, დამატებითი გამოცდის, გასაუბრების და ა.შ. გარეშე.

7. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების ენისა) აბიტურიენტები უფლებამოსილი არიან გამოცდა ზოგად უნარებში, მათემატიკაში, საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებირივ მეცნიერებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ჩააბარონ ქართულ ან რუსულ ენაზე, რის შესახებაც მათ უნდა მიუთითონ საგამოცდო განაცხადში. *(29.06.2006 N 641)*

## მუხლი 6. შეღავათები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე იმ პირთათვის, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფს ადგილებს ფაკულტეტების მიხედვით, რომელთა დაკავება ამ დებულებით დადგენილი წესით შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ აღემატება ფაკულტეტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას 10%. *(29.06.2006 N 641)*

**1.1.** უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც სურთ უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეუძლიათ მოიპოვონ სწავლის გაგრძელების უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, თუ გააჩნიათ უმაღლესი განათლების მიღების უფლება, იმ უცხო ქვეყანაში, სადაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება. *(29.06.2006 N 641)*

**2.** ამოღებულია *(24.11.2005 N639)*

**3.** უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მიიღონ უმაღლესი განათლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავენ შესაბამისი განაცხადით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამათლებრივი აქტით დადგენილი ნუსხის შესაბამისად. *(29.06.2006 N 641)*

**4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული გამოცდების ცენტრს წარუდგენს იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეების, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირების,

რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, რაოდენობასა და სახელობით ნუსხას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების მიხედვით, რომლებიც ამ დებულებით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან მომდევნო სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამის ფაკულტეტებზე. *(29.06.2006 N 641)*

**4.1.** უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, შესაძლებელია ჩარიცხულ იქნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების და ამ დებულების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ, მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად დადგენილი სტუდენტთა რაოდენობის 10%-ის ფარგლებში ფაკულტეტების მიხედვით. *(29.06.2006 N 641)*

**5.** ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაძლებელია დაწესდეს გასაუბრება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასაუ-

ბრების ჩატარება შეიძლება უზრუნველყოს უშუალოდ, ეროვნული გამოცდების ცენტრის ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მეშვეობით.

**6.** უცხო ქვეყნის ის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთაც სურთ უმაღლესი განათლება მიიღონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ არ გააჩნიათ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყანაში, სადაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში საერთო წესით. *(29.06.2006 N 641)*

**7.** საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ უცხო ქვეყნის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან/და უცხო ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების უფლება, აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს ამ დებულებით განსაზღვრული საერთო წესით. *(29.06.2006 N 641)*

**8.** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისას გამოიყენება ის წესი, რომელსაც აირჩევს ასეთი პირი. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის დადგენილი წესით ჩარიცხვის წესის არჩევის შემთხვევაში, მასზე ვრცელდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის დადგენილი წესი. *(29.06.2006 N 641)*

## მუხლი 7. ამოღებულია *(29.06.2006 N 641)*

## მუხლი 8. ერთიანი ეროვნული გამოცდების თავისებურებანი სახელოვნებო ან/და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აბიტურიენტებისთვის

**1.** აბიტურიენტები, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დაწესებულების საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამით, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გადიან შესაბამის კონკურსს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლის შედეგები დაუყოვნებლივ ეგზავნება ეროვნული გამოცდების ცენტრს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. *(29.06.2006 N 641)*

**2.** ამოღებულია *(29.06.2006 N 641)*

**2.1.** ამოღებულია *(24.11.2005 N639)*

**3.** სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სასწავლო წლის დასაწყისში უფლებამოსილია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს აბიტურიენტთა ჩარიცხვის წესი:

ა) მხოლოდ დაწესებულების კონკურსის შედეგების მიხედვით — ერთიანი ეროვნული გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნუ-

ლი გამოდების ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გაუთვალისწინებლად;

ბ) შერეული წესით — დაწესებულების კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტებით რანჟირებული ქულებით.

**4.** თუ სახელოვნებო და სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამით აბიტურიენტის ჩარიცხვა ხდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ დებულების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კოეფიციენტს ანიჭებს ასევე დაწესებულების კონკურსს.

**4.1.** თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აბიტურიენტებს კონკურსის შედეგად ექნებათ თანაბარი ქულები, ჩარიცხვა განხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიღებული ქულების ჯამის მიხედვით. *(29.06.2006 N 641)*

# თავი II. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წინასწარი ორგანიზაცია *(29.06.2006 N 641)*

## მუხლი 9. მონაცემთა ბაზები

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამდე ლოგისტიკისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფები საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების ნუსხის, შესაბამისი საგამოცდო განრიგებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარის შედგენის მიზნით უზრუნველყოფენ აბიტურიენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზების შექმნას.

## მუხლი 10. აბიტურიენტების მონაცემთა ბაზა

1. აბიტურიენტების მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა გაერთიანებული ბაზიდან შემდეგი სახის ინფორმაციის მიღების საშუალებას უნდა იძლეოდეს:

ა) აბიტურიენტთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით;

ბ) აბიტურიენტთა რაოდენობა თითოეული ქალაქისათვის, სადაც უნდა გაიხსნას საგამოცდო ცენტრი/ცენტრები:

გ) აბიტურიენტთა რაოდენობა თითოეულ საგამოცდო საგანში;

**2.** აბიტურიენტების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ეროვნული გამოცდების ცენტრი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რესურს-ცენტრებში აგზავნის აბიტურიენტების მიერ შესასვსები განცხადების ფორმას, რომელშიც მითითებულია:

ა) აბიტურიენტის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, საფოსტო მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება. იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც უკვე დამთავრებული აქვთ სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ზოგადი ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელების მითითებით, ხოლო თუ პირი ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მითითებით;

გ) აბიტურიენტის მიერ ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალი;

დ) სასურველი საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობა;

ე) იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტს ადრე ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები, სურს თუ არა შეინახოს ადრე მიღებული შეფასება რომელიმე საგანში;

ვ) იმ ფაკულტეტის/ფაკულტეტების (არაუმეტეს შვიდისა) დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, სადაც მას სურს სწავლის გაგრძელება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების მითითებით;

ზ) ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია;

**3.** ერთიან ეროვნული გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად ექსტერნები უნდა დარეგისტრირდნენ რესურსცენტრში ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ისინი უშუალოდ სწავლობენ.

**4.** სარეგისტრაციო განცხადების შევსება სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც აპირებს მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდაში/გამოცდებში.

**5.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და რესურსცენტრები ვალდებულნი არიან ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში უზრუნველყონ სარეგისტრაციო განაცხადების შევსებისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.

**6.** შევსებული განცხადებები უბრუნდება ეროვნული გამოცდების ცენტრს, რომლის ლოგისტიკის ჯგუფი უზრუნველყოფს მათ დახარისხებას და გადასცემს საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ჯგუფს, სადაც ხდება მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება.

**7.** ლოგისტიკის ჯგუფი უზრუნველყოფს ცალკეული აბიტურიენტის კომპიუტერულად დამუშავებული

ამონაბეჭდი ფორმების დაგზავნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესურსცენტრებში, სადაც აბიტურიენტები ეცნობიან მათ, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მხოლოდ ტექნიკური კორექტივები, რის შემდეგაც ამონაბეჭდი ფორმები უბრუნდება ეროვნული გამოცდების ცენტრს, რომელშიც ხდება აბიტურიენტთა ბაზის საბოლოო ფორმირება.

## მუხლი 11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ეროვნული გამოცდების ცენტრი ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგზავნის სპეციალურ ანკეტა-კითხვარს (შემდგომში — ანკეტა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების:

ა) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;

ბ) საფოსტო მისამართი;

გ) ტელეფონი (ფაქსი, ელ. ფოსტის მისამართი);

დ) ხელმძღვანელი პირების ვინაობა მათი საკონტაქტო ტელეფონების მითითებით;

ე) ფაკულტეტები, რომლებზეც მოხდება აბიტურიენტთა მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა;

ვ) დადგენილი წესით განსაზღვრული სწავლის წლიური საფასური თითოეული ფაკულტეტისთვის;

ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული არჩევითი საგანი/საგნები ფაკულტეტების მიხედვით;

თ) ფაკულტეტების მიხედვით ცალკეული საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტები, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტი;

ი) სწავლების ენა ფაკულტეტების მიხედვით;

კ) ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

**2.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შევსებული ანკეტები უბრუნდება ეროვნული გამოცდების ცენტრს, რომლის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ჯგუფში ხდება მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება. ყოველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეულ ფაკულტეტს მიენიჭება ინდივიდუალური უნივერსალური კოდი.

**3.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარის გამოცემას, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსდება ეროვნული გამოცდების ცენტრის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე. ცნობარში აისახება საქართველოში არსებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტი, რომელზეც წარმოებს აბიტურიენტთა მიღება მიმდინარე წელს.

# თავი III. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება

## მუხლი 12. საგამოცდო განაცხადი. აბიტურიენტთა რეგისტრაცია *(29.06.2006 N 641)*

**1.** ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების საფუძველია აბიტურიენტის წერილობითი განცხადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ.

**2.** დებულების მე-10 მუხლით დადგენილი წესით შევსებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ორი ფერადი ფოტოსურათი — 3X4;

ბ) საბანკო ქვითარი ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურის გადახდის შესახებ;

გ) პირადობის მოწმობის ასლი — მისივე დედნის წარდგენით, ან დაბადების მოწმობის ასლი — მისივე დედნის წარდგენით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დამოწმებული ცნობა;

დ) საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი მისივე დედნის წარდგენით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ზოგადი

განათლების საშუალო საფეხურის დამამთავრებელ კლასში სწავლობს — სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ამონაწერი სასკოლო ბრძანებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ ან ცნობა გაცემული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან რესურსცენტრიდან, იმის შესახებ, რომ პირი დარეგისტრირებული არის ექსტერნად;

ე) ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ნაცვლად, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელითაც დასტურდება, რომ პირი სწავლობს ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ) შესაბამისი ცნობა რაიმე ტიპის ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში. მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ფუნქციონალური დარღვევები, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს;

ზ) ნოტარიულად დამოწმებული ოფიციალური თარგმანი, თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის.

**3.** აბიტურიენტთა ბაზის საბოლოო ფორმირების შემდეგ აბიტურიენტზე გაიცემა საგამოცდო-საიდ-ენტიფიკაციო ბარათი (შემდგომში —საგამოცდო ბარათი), რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებ-ში.

**4.** საგამოცდო ბარათში აბიტურიენტის პერსონ-ალურ მონაცემებთან ერთად მითითეული უნდა იყოს:

ა) ჩასაბარებელი გამოცდების ნუსხა;

ბ) საგამოცდო ცენტრის დასახელება, სადაც აბიტურიენტი აპირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას;

გ) გამოცდის/გამოცდების ჩატარების თარიღე-ბი, დაწყების დრო;

**5.** საგამოცდო ბარათთან ერთად აბიტურიენტს ეგ-ზავნება ამონაბეჭდი იმ ფაკულტეტის/ფაკულტეტები-სა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ დაწესებულებების მითითებით, სადაც მას სურს სწავ-ლის გაგრძელება.

**6.** იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებიც რეგის-ტრაციისათვის დადგენილ პერიოდში საზღვარგარეთ სწავლის, დროებითი ქმედუუნარობის თუ ოჯახური მდგომარეობის (ოჯახის წევრის გარდაცვალება), დაუძლეველი ძალისა ან ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას დროუ-ლად გაეკეთებინათ განცხადება ერთიან ეროვნულ გა-მოცდებში მონაწილეობის მიღების შესახებ, ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში გაიხსნება სარეგისტრაციო პუნქტი ქალაქ თბილისში. ამ პუნქტში მოყვანილი გარემოებები აბიტურიენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს დოკუმენტალურად.

## მუხლი 13. ვადები *(29.06.2006 N 641)*

ამ დებულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ვადებს, რომლებიც განსაზღვრული არ არის ამ დებულებით, ადგენს ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც ექვემდებარება საჯარო გაცნობას რაიონულ რესურსცენტრში საჯარო სტენდზე გამოკვრით.

## მუხლი 14. ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობა

**1.** ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდება ორ ცვლად, ერთდროულად ყველა საგამოცდო ცენტრში, ეროვნული გამოცდების ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად. საგამოცდო ცენტრები განლაგებულია ქვეყნის ქალაქების სასწავლო დაწესებულებებში. საგამოცდო ცენტრების განთავსების ადგილების შერჩევა ხდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური აქტით.

**2.** იმ საგამოცდო ცენტრში, რომელიც საგამოცდო ბარათშია მითითებული აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და უნდა გაიაროს რეგისტრაცია.

**3.** საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის გასავლელად აბიტურიენტი ვალდებულია წარადგინოს:

ა) საგამოცდო ბარათი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან დაბადების მოწმობა და შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დამოწმებული ცნობა; *(29.06.2006 N 641)*

გ) ამოღებულია *(5.07.2005 N 337)*

დ) თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ოფიციალური თარგმანი, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის.

**4.** რეგისტრაციის შემდეგ აბიტურიენტი განთავსებულ იქნება საგამოცდო სექტორში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან.

**5.** გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტების თვალწინ იხსნება საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეულებისა და პასუხების ფურცლების დალუქული შეკვრა. *(29.06.2006 N 641)*

**6.** მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით. *(29.06.2006 N 641)*

**7.** გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტს მოკლედ გააცნობენ გამოცდების ჩატარებისა და საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეულის გამოყენებისა და პა-

სუხების ფურცლის  შევსების წესებს, მის უფლება-მოვალეობებს, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. სამუშაო დრო სხვადასხვა საგამოცდო საგნისათვის განსხვავებულია და მითითებულია საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეულში. კურატორი და მეთვალყურე უზრუნველყოფენ, რომ დროის ათვლამდე აბიტურიენტს არ ჰქონდეს მუშაობის დაწყების საშუალება. *(29.06.2006 N 641)*

**8.** აბიტურიენტთა პასუხების ფურცლის ანონიმურობის უზრუნვლსაყოფად, გამოცდის დაწყებამდე, ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ხდება მათი დაშიფვრა ინდივიდუალური შტრიხკოდით. *(29.06.2006 N 641)*

**8.1.** ტესტურ დავალებაზე მუშაობის პროცესში აბიტურიენტს შეუძლია გამოიყენოს ტესტურ დავალებათა რვეულზე თანდართული სამუშაო ფურცელი, რომელიც რჩება საგამოცდო ცენტრში ტესტურ დავალებათა რვეულთან ერთად. ტესტური დავალებათა რვეული და სამუშაო ფურცელი საგამოცდო ტესტის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება. *(29.06.2006 N 641)*

**9.** იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ფუნქციონალური დარღვევები, ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს.

**10.** აბიტურიენტი ვალდებულია:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს გამოცდაზე — საგამოცდო დროის ათვლის დაწყების (რეგისტრაციის დამთავრების) შემდეგ აბი-

ტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) თან იქონიოს: *(29.06.2006 N 641)*

ბ.ა) ბურთულიანი ავტოკალამი (შავი, ლურჯი ან იისფერი);

ბ.ბ) საგამოცდო ბარათი.

გ) გამოცდის (სამუშაოს) დამთავრების შემდეგ საგამოცდო ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში; *(29.06.2006 N 641)*

დ) შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და კურატორის/მეთვალყურის ცალკეული მითითებანი.

**11.** გამოცდის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის, პეიჯერის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვა გამოყენება; *(29.06.2006 N 641)*

გ) პასუხების ფურცლის შესავსებად განსხვავებული ფერის (წითელი, მწვანე,...) მელნის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; *(29.06.2006 N 641)*

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აბიტურიენტებისთვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად.

**12.** ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აბიტურიენტს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტითდამტკიცებული ფორმის ოქმით. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი შემჩნეული იქნება ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენაში, გაფრთხილების მიცემასთან ერთად მას ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლადაც გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი. პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ N ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას (რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან) არ გასწორდება. დარღვევის განმეორების შემთხვევაში ფორმდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის ოქმი აბიტურიენტის გამოცდიდან მოხსნის შესახებ. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აბიტურიენტს უფლება აქვს საგამოცდო პროცესის მონაწილე პირების მიმართ ამ დებულების 21-ე მუხლის საფუძველზე წარადგინოს პრეტენზია, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას ჩაუტარდება ხელახალი გამოცდა ამ მუხლის მე-17 პუნქტით დადგე-

ნილი წესით და ვადებში. გაფრთხილების გარეშე აბიტურიენტის გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში, რაც აგრეთვე ფორმდება შესაბამისი ოქმით.*(29.06.2006 N 641)*

**13.** საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში აბიტურიენტს უფლება აქვს, ტესტურ დავალებათა რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების შემდეგ დატოვოს დარბაზი კურატორის ან მის მიერ ამისთვის გამოყოფილი მეთვალყურის თანხლებით. *(29.06.2006 N 641)*

**14.** საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ კურატორი ამოწმებს თითოეული აბიტურიენტის ტესტურ დავალებათა რვეულის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე შტრიხკოდის დაუზიანებლობას და აბიტურიენტის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდეგ იბარებს მათ. *(29.06.2006 N 641)*

**15.** ჩაბარებული ტესტურ დავალებათა რვეულები და პასუხების ფურცლები იკვრება სექტორების მიხედვით, ილუქება და იგზავნება ეროვნული გამოცდების ცენტრში. *(29.06.2006 N 641)*

**16.** ამოღებულია *(5.07.2005 N 337)*

**17.** საგამოცდო სექტორში ან ცენტრში ფორსმაჟორული სიტუაციის არსებობის შემთხვევაში ეროვნული გამოცდების ცენტრი ატარებს ხელახალ გამოცდას ამ კონკრეტულ ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების დასრულებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. *(5.07.2005 N 337)*

**18.** ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობაზე ტექნიკურ კონტროლს.

## მუხლი 15. პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაესწრონ საგამოცდო პროცესს *(29.06.2006 N 641)*

**1.** საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას დაშვებელია მხოლოდ შემდეგი პირების ყოფნა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენლები;

ბ) ადმინისტრატორი;

გ) კოორდინატორი;

დ) ადმინისტრატორის თანაშემწე;

ე) კურატორი;

ვ) მეთვალყურე;

ზ) დამკვირვებელი;

თ) რეგისტრატორი.

**2.** ამასთან, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირების საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას.

**3.** ადმინისტრატორი, კოორდინატორი, ადმინისტრატორის თანაშემწე, კურატორი, მეთვალყურე, დამკვირვებელი და რეგისტრატორი არ შეიძლება დანიშნულ იყოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე იმ საგამოცდო ცენტრში, სადაც გამოცდას აბარებს მისი ნათესავი აბიტურიენტი.

**4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრებში გამოცდების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა და საგამოცდო ცენტრებში განაწილება ხდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას დაუშვებელია ამ დებულებით გაუთვალისწინებელი პირების ყოფნა.

**5.** ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დამკვირვებელი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე არა უგვიანეს 2 თვისა გააკეთა განაცხადი დამკვირვებლის რეგისტრაციის მოთხოვნით და ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ მიენიჭა ან წილისყრით განესაზღვრა დამკვირვებლის სტატუსი. დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წილისყრა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ იმ პირთა რიცხვი, რომელთაც გააკეთეს განაცხადი ერთიან ეროვნულ გამოცდებში დამკვირვებლის რეგისტრაციის მოთხოვნით, აჭარბებს საგამოცდო ცენტრში/ცენტრებში ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილ დამკვირვებელთა ზღვრულ ოდენობას. წილისყრის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით.

**6.** ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დამკვირვებელი უფლებამოსილია დააკვირდეს საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობას,

ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დააფიქსიროს იგი ოქმით საგამოცდო პროცესში ჩარევის გარეშე. ოქმი დგება 2 ეგზემპლარად, რომლის 1 ეგზემპლარი გადაეცემა საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორს.

**7.** ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს და დამკვირვებლებს ეკრძალებათ ნებისმიერი ფორმით აბიტურიენტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

**8.** ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

## მუხლი 16. აბიტურიენტთა ტესტური ნაშრომების გასწორება

**1.** საგამოცდო ცენტრიდან გაგზავნილი დალუქული პასუხების ფურცლები იხსნება, რეგისტრირდება და გამსწორებელთა საგნობრივ კომისიებში ნაწილდება ეროვნული გამოცდების ცენტრში. *(29.06.2006 N 641)*

**2.** გამსწორებელთა ანონიმურობა დაცულია დაშიფვრის — ინდივიდუალური შტრიხკოდების მეშვეობით.

**3.** თითოეული ნაშრომი დამოუკიდებლად სწორდება მინიმუმ ორჯერ შეფასების ერთიანი სქემის მიხედ-

ვით. შეფასებაში სხვაობის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა მესამე გამსწორებელს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

**3.1.** პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებულია განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის გრაფიკულ გამოსახულებას (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან, არ ექვემდებარება გასწორებას და ფასდება ნული ქულით. *(29.06.2006 N 641)*

**4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ქვეყნდება რესურსცენტრებში გასწორების პროცესის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. რესურსცენტრებში, აგრეთვე გამოსაქვეყნებლად იგზავნება საგამოცდო ტესტებისა და საპრეტენზიო ფორმების ნიმუშები. ამასთან, ზემოაღნიშნულ ვადაში საგამოცდო ცენტრების მეშვეობით ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს აბიტურიენტების მიერ შევსებული პასუხების ფურცლების ასლების გაცემას. პასუხების ფურცლის ასლის მისაღებად საჭიროა აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით შევსებული წერილობითი მოთხოვნა. *(29.06.2006 N 641)*

# თავი IV. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები

## მუხლი 17. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

*(24.11.2005 N639)*

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგამოცდო საგანში განისაზღვრება 15 ქულით.

## მუხლი 18. რანჟირება აბსოლუტური ქულების ჯამით *(29.06.2006 N 641)*

**1.** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს აბიტურიენტი, რომელიც ზოგადი უნარების გამოცდაში მოპოვებული სკალირებული ქულების (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი) მიხედვით რანჟირებულ აბიტურიენტთა სიაში უმაღლესი ქულა ექნება და შესაბამის წელს მოიპოვებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლებას.

**2.** სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა გამოცდაში. თუ აბიტურიენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესახებ წერილობით განაცხადში გამოთქვამს არჩევითი გამოცდის/გამოცდების ჩაბარების სურვილს, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აღნიშნულ გამოცდაში/გამოცდებში მინიმალური

კომპეტენციის ზღვრის გადალახვა აუცილებელია, იმ შემთხვევაშიც, თუ აბიტურიენტის მიერ რეიტინგულ ჩამონათვალში რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ჩასარიცხად არჩევითი გამოცდის ჩაბარება არ არის სავალდებულო.

**3.** სახელმწიფო სასწავლო გრანტი არ გაიცემა:

ა) იმ პირებზე, რომლებსაც ის ერთხელ უკვე მიღებული აქვთ;

ბ) იმ პირებზე, რომელთაც მოიპოვეს შესაბამისი ქულა ზოგადი უნარების გამოცდაში, მაგრამ ვერ მოიპოვეს შესაბამის წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება.

## მუხლი 19. რანჟირება კოეფიციენტებით

**1.** აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ხორციელდება მის მიერ მიღებული სკალირებული ქულების, აბიტურიენტის მიერ არჩეული ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალისა და ფაკულტეტების მიერ საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტულობის გათვალისწინების საფუძველზე. *(29.06.2006 N 641)*

**2.** ცალკეულ საგამოცდო საგანს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კონკრეტული ფაკულტეტისთვის ენიჭება გარკვეული კოეფიციენტი. კოეფიციენტები ნატურალური რიცხვები უნდა იყოს, რომელთა ჯამი 10-ის ტოლია. *(24.11.2005 N639)*

**2.1.** მხოლოდ ის აბიტურიენტი შეიძლება ჩაირიცხოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეული გამოცდისათვის გადალახავს მინიმალური კომპეტენციის დადგენილ ზღვარს, იმ საგნებში, რომელიც სავალდებულოა ამ ფაკულტეტზე ჩასარიცხად. *(29.06.2006 N 641)*

**3.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში აცნობოს ეროვნული გამოცდების ცენტრს მის მიერ ცალკეულ ფაკულტეტებზე თითოეული საგამოცდო საგნისთვის მინიჭებული კოეფიციენტები, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტი მომდევნო ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. *(29.06.2006 N 641)*

**4.** აბიტურიენტის მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში მიღებული სკალირებული ქულა მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე და ხდება მათი შეკრება.

**5.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ცალკეულ ფაკულტეტზე ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად რანჟირებული აბიტურიენტების ნუსხიდან ჩაირიცხება უმაღლესი შეფასების მქონე აბიტურიენტთა ის რაოდენობა, რომელსაც აკრედიტაციის შედეგად დადგენილი მისაღები კონტინგენტის ფარგლებში განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოცემული ფაკულტეტისთვის და რომლებზეც ამ დებულებით დადგენილი წესით არ იქნებიან ჩარიცხულნი უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე. *(29.06.2006 N 641)*

**5.1.** თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტზე აკრედიტაციის შედეგად მისაღები კონტინგენტისათვის გამოყოფილ ადგილებზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად რანჟირებული აბიტურიენტების ნუსხიდან, ფაკულტეტის პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ, ფაკულტეტზე თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აბიტურიენტს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ეროვნული გამოცდების ცენტრის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შედეგად მისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობის ფარგლებში ამ ფაკულტეტისათვის ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არცერთ ფაკულტეტზე არ არსებობს ვაკანტური ადგილი აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ეროვნული გამოცდების ცენტრი მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურს (შემდგომში – აკრედიტაციის სამსახური). აკრედიტაციის სამსახური ეროვნული გამოცდების ცენტრის მიმართვის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უმატებს მისაღებ სტუდენტთა ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აბიტურიენტების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში ეს რაოდენობა მოაკლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტს. *(29.06.2006 N 641)*

**6.** ამოღებულია *(24.11.2005 N639)*

**7.** თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ შედგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალის პირველ ფაკულტეტზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე ფაკულტეტზე და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ჩაირიცხვა რეიტინგული ჩამონათვალის რომელიმე ფაკულტეტზე, მაშინ რეიტინგულ სიაში მითითებულ მომდევნო ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის საკითხი აღარ განიხილება. *(24.11.2005 N639)*

**8.** თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა მის მიერ მითითებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ვერც ერთ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლება და, თუ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ დარჩა თავისუფალი ადგილები, მას უფლება აქვს ამ ადგილებზე კიდევ ერთხელ გააკეთოს განაცხადი, სადაც მისი საკითხის განხილვა მოხდება ამავე მუხლით დადგენილი წესის თანახმად. *(24.11.2005 N639)*

**9.** ეროვნული გამოცდების ცენტრი, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შესაბამისი წლის 1 ოქტომბრამდე იღებს გადაწყვეტილებას შეცდომის გასწორების შესახებ და შეცდომის გათვალისწინებით აქვეყნებს აბიტურიენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ აბიტურიენტთა პირველადი ჩარიცხვის პირველადი მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს შესაბამისი წლის 1

ოქტომბრისა, გამოვლინდა, რომ ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩარიცხვის ელექტრონულ ბაზაში აბიტურიენტთა მონაცემების შეყვანის დროს დაშვებულ იქნა შემდეგი სახის შეცდომა : *(11.10.2006 N866)*

ა) ბაზაში არ იქნა შეყვანილი კონკრეტული აბიტურიენტის მონაცემები ;

ბ) ბაზაში შეყვანილი კონკრეტული აბიტურიენტის მონაცემებში არის არსებითი შეცდომა;

გ) ბაზაში ერთი და იმავე პირის მონაცემი რამდენჯერმე არის შეყვანილი.

**10.** იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ აბიტურიენტთა ჩარიცხვის პირველადი მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს შესაბამისი წლის 1 ოქტომბრისა, გამოვლინდა, რომ ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩარიცხვის ელექტრონულ ბაზაში აბიტურიენტთა მონაცემების შეყვანის დროს შეცდომით არ იქნა შეყვანილი ჩარიცხვის უფლების მქონე პირი/პირები, აბიტურიენტი/აბიტურიენტები, რომლის მონაცემებიც შეცდომით არ იქნა შეყვანილი ჩარიცხვის ელექტრონულ ბაზაში, შეცდომის არდაშვების შემთხვევაში ჩაირიცხებოდა კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აბიტურიენტის/აბიტურიენტების ჩარიცხვის საინფორმაციო ბაზაში შეცდომით არშეყვანის შედეგად არც ერთი სხვა აბიტურიენტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება არ შეიზღუდა ან არ გაუარესდა მისი მდგომარეობა მის მიერ ამ დებულების შესაბამისად მითითებული პრიორიტეტული ფაკულტეტების მიხედვით, ჩარიცხვის გამოქვეყნებული მონაცემები რჩება ძალაში. ხოლო ჩარიცხვის

ელექტრონულ ბაზაში შეცდომით არშეყვანილი აბიტურიენტის/აბიტურიენტების იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მიზნით, რომელშიც აბიტურიენტმა/აბიტურიენტებმა მოიპოვა ჩარიცხვის უფლება ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შედეგად მისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობის ფარგლებში ამ ფაკულტეტისათვის ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არც ერთ ფაკულტეტზე არ არსებობს ვაკანტური ადგილი აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიმართავს აკრედიტაციის სამსახურს. აკრედიტაციის სამსახური ეროვნული გამოცდების ცენტრის მიმართვის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უმატებს მისაღებ სტუდენტთა ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული აბიტურიენტის/აბიტურიენტების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში ეს რაოდენობა მოაკლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ კონტინგენტს. *(11.10.2006 N866)*

## მუხლი 20. ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების მოქმედების ვადა და მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების წესი *(29.06.2006 N 641)*

**1.** ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემთხვევაში პირს ეძლევა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამა-

დასტურებელი სერტიფიკატი, მიღებული ქულების მითითებით, რომელშიც მითითებული იქნება, მოიპოვა თუ არა აბიტურიენტმა მოცემული კონკურსის გათვალისწინებით სახელმწიფო სასწავლო გრანტი და/ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება.

**2.** აბიტურიენტს შეუძლია მის მიერ მოპოვებული გამოცდის/გამოცდების ქულები გამოიყენოს მომდევნო წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად. აბიტურიენტების რანჟირება ხორციელდება ყოველ წელიწადს დამოუკიდებლად, იმ წლის კონკურსის გათვალისწინებით.

**2.1.** ერთიან ეროვნული გამოცდებში მიღებული ქულები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომდევნო წელს, თუ ერთიან ეროვნული გამოცდებში მონაწილეობა მიიღო პირმა, რომელსაც: *(11.10.2006 N866)*

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს არ ჰქონდა მოპოვებული ზოგადსაგანმანათლებლო, მათ შორის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლება და მას ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის წერილობით განაცხადში მითითებული ჰქონდა, რომ მოიპოვებდა ზოგადსაგანმანათლებლო, მათ შორის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს არ ჰქონდა მოპოვებული ეროვნული გა-

მოცდების ცენტრის მიერ გაცემული, ექსტერნატის ფორმით მიღებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლება და მას ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის წერილობით განაცხადში მითითებული ჰქონდა, რომ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარების შედეგად.

**3.** აბიტურიენტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს მომდევნო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და სცადოს გააუმჯობესოს ადრე მიღებული შედეგები როგორც ცალკეულ, ასევე ყველა საგანში. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მხოლოდ მეორე გამოცდებისას მიღებული შეფასება (შეფასებები), იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი უფრო დაბალია ვიდრე წინა წელს მიღწეული შედეგები.

**4.** იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით გავლის შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს და იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების  იმავე ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლებას, მისი ჩარიცხვა განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით ჩაბარების მომენტისათვის მისაღები კონტიგენტის ფარგლებში და ის სწავლას განაგრძობს იმ ეტაპიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით გავლამდე.

**5.** იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ერთიანი ეროვნული

გამოცდების განმეორებით გავლის შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე, ან იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლებას, მისი ჩარიცხვა განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით ჩაბარების მომენტისათვის მისაღები კონტიგენტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმის განსასაზღვრად, თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სწავლას სტუდენტი, გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის თაობაზე წერილობითი მოტივირებული დასკვნის შესაბამისად, რომელშიც მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

**6.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით გავლის შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს და იმავე ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლებას, უფლებამოსილია სახელმწიფო სასწავლო გრანტი მისი სურვილისამებრ გამოიყენოს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ის სწავლობდა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე განმეორებით ჩაბარებამდე ან რომელშიც ის ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების განმეორებით გასვლის შემდგომ.

# თავი V. ერთიან ეროვნული გამოცდებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა და საბოლოო შედეგები

## მუხლი 21. პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საქართველოს განათლე-ბისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური აქტით შექმნილი საპრეტენზიო საბჭოს მიერ, რომელთანაც იქმნება შესაბამისი საგნობრივი საპრეტენზიო კომისიები.

2. საგამოცდო პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე აბიტურიენტი უფლებამოსილია გამოცდის დასრულების დღის 21 საათამდე პრეტენზია შეიტანოს საპრეტენზიო საბჭოს სახელზე იმ ქალაქის რესურსცენტრში, სადაც აბიტურიენტმა გაიარა გამოცდა. პრეტენზიის წარდგენისას აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. რესურსცენტრში შეტანილი პრეტენზია განსახილველად იგზავნება საპრეტენზიო საბჭოში, რომელიც მას განიხილავს 5 დღის განმავლობაში და გადაწყვეტილების შინაარსს დაუყოვნებლივ აცნობებს აბიტურიენტს იმავე რესურსცენტრის მეშვეობით, რომელშიც მან წარადგინა პრეტენზია. საპრეტენზიო განაცხადის ფორმა მტკიცდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. *(29.06.2006 N 641)*

**2.1.** საგამოცდო პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი აბიტურიენტის უფლებების დარღვევას საგამოცდო პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ;

ბ) სხვა აბიტურიენტის მიმართ საგამოცდო პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას საგამოცდო პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ (აბიტურიენტისათვის დახმარების აღმოჩენა, აკრძალული ნივთების მიწოდება და ა.შ). *(5.07.2005 N 337)*

**2.2.** თუ ამ მუხლის 21 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის შედეგად დადასტურდა პრეტენზიის წარმდგენი აბიტურიენტის უფლებების დარღვევა სხვა აბიტურიენტის მიერ, საპრეტენზიო საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია საგამოცდო პროცესის სხვა მონაწილის (ადმინისტრატორი, ადმინისტრატორის თანაშემწე, კოორდინატორი, მეთვალყურე, დამკვირვებელი, რეგისტრატორი) მიერ საპრეტენზიო საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება აღნიშნული პირის (პირების) უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნული გამოცდების ცენტრის ადმინისტრაციას. *(5.07.2005 N 337)*

**2.3.** თუ ამ მუხლის 21 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის შედეგად დადასტურდა სხვა აბიტურიენტის მიმართ საგამოცდო პროცედურის დადგენილი წესის დარღვევა საგამოცდო პროცესში მონაწილე აბიტურიენტებისა და სხვა პირების მხრიდან (აბიტურიენტისათვის დახმარების აღმოჩენა, აკრძალული ნივთების მიწოდება და ა.შ), საპრეტენზიო საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება იმ აბიტურიენტების ნაშრომების ნული ქულით შეფასების შესახებ, რომელთაც დაარღვიეს საგამოცდო პროცედურა, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია საგამოცდო პროცესის სხვა მონაწილის (ადმინისტრატორი, ადმინისტრატორის თანაშემწე, კოორდინატორი, მეთვალყურე, დამკვირვებელი, რეგისტრატორი) მიერ, საპრეტენზიო საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება, აგრეთვე, აღნიშნული პირის (პირების) უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნული გამოცდების ცენტრის ადმინისტრაციას. *(5.07.2005 N 337)*

**2.4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის განმავლობაში აბიტურიენტს უფლება აქვს წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი საგამოცდო ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია საპრეტენზიო განაცხადის შევსებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს იმ ტესტური დავალების ნომერი, რომელთან დაკავშირებითაც წარდგენილია პრეტენზია. საპრეტენზიო განაცხადს თან უნდა დაერთოს ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის დამა-

დასტურებელი ქვითარი. საპრეტენზიო განაცხადი ბარდება რესურსცენტრში. საპრეტენზიო განაცხადის ფორმა მტკიცდება ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. *(29.06.2006 N 641)*

**3.** საპრეტენზიო განაცხადები თავს იყრის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ჯგუფში, რომელშიც ისინი დახარისხდება საგნების მიხედვით და დაიგზავნება შესაბამის საგნობრივ საპრეტენზიო კომისიებში. *(29.06.2006 N 641)*

**4.** ცალკეული საგნის შეფასებებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადებები განიხილება საგნობრივ საპრეტენზიო კომისიებში. საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს კომისიის წევრი, რომლის ანონიმურობა დაცულია დაშიფვრის ინდივიდუალური შტრიხკოდის მეშვეობით. კომისიის წევრი იხილავს მხოლოდ იმ ტესტური დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ამტკიცებს საპრეტენზიო საბჭო. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილებები განმცხადებლებს ეგზავნებათ რესურსცენტრში განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს 25 დღისა. *(29.06.2006 N 641)*

**5.** საპრეტენზიო საბჭოს მიერ საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ აბიტურიენტებს ეგზავნებათ წინასწარი ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ. წინასწარი მონაცემები ქვეყნდება რესურსცენტრებში და/ან საგამოცდო

ცენტრებში საჯარო სტენდზე გაკვრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობასა და განაწილებასთან ერთად. *(29.06.2006 N 641)*

**5.1.** იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ საგამოცდო განაცხადში მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების ვერცერთ ფაკულტეტზე, უფლება აქვთ გააკეთონ განმეორებითი განაცხადი, რომელშიც ვაკანსიების გათვალისწინებით მითითებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტების ახალი რეიტინგული ჩამონათვალი. განაცხადის წარდგენის ვადას ადგენს ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორი. *(29.06.2006 N 641)*

**6.** ამ მუხლის 51 პუნქტით გათვალისწინებული ახალი განცხადების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტებზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება ამ დებულებით დადგენილი წესით. *(1.08.2006 N735)*

## მუხლი 22. აბიტურიენტთა აბსოლუტური ქულებითა და კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტები

**1.** ერთიანი ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ და საპრეტენზიო საბჭოს მიერ აბიტურიენტთა პრეტენზიების განხილვისა და აბიტურიენტთა ახალი განაცხადების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს 10 დღისა ეროვნული გამოცდების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს: *(29.06.2006 N 641)*

ა) აბსოლუტური ქულების ჯამით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტს იმ აბიტურიენტთა ჩამონათვალის მითითებით, რომელთაც მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი;

ბ) კოეფიციენტებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტს თითოეული აბიტურიენტისთვის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტის მითითებით, რომელზე სწავლის უფლებაც მან მოიპოვა, მათ შორის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობის მფლობელთათვის.

**2.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამის ფაკულტეტზე მიიღოს აბიტურიენტები და მათთან ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული კოეფიციენტებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად. *(24.11.2005 N639)*

**3.** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იგზავნება გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ჩარიცხვის შესახებ რექტორის აქტი გამოიცემა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას

დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. *(29.06.2006 N 641)*

**3.1.** აბიტურიენტების ადგილები, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება და ამ მუხლის მე-3 პუნქით დადგენილ ვადაში ვერ გამოცხადდნენ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ცხადდება ვაკანტურად. *(29.06.2006 N 641)*

**4.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით აბიტურიენტთა მიღება შეიძლება გახდეს ამ დაწესებულების აკრედიტაციის გაუქმების საფუძველი.

## მუხლი 221. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვა გადაყვანის წესით *(29.06.2006 N 641)*

**1.** სტუდენტების ჩარიცხვები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით შესაძლებელია განხორციელდეს სწავლების მეორე წლიდან კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 2-ჯერ, შესაბამისი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე ან სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე და უნდა გაფორმდეს ამ დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოცემიდან 15 დღის ვადაში იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. *(1.08.2006 N735)*

**2.** სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ჩარიცხვა გადაყვანის წესით დასაშვებია მხოლოდ ამ ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად დადგენილი სტუდენტთა რაოდენობის 10%-ის ფარგლებში ფაკულტეტების მიხედვით, რაც აისახება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ რექტორის ერთიან აქტში, რომელიც გამოცემიდან 15 დღის ვადაში იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

**3.** ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტის გადაყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ რექტორის აქტი გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილება ამ სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ. პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება. *(1.08.2006 N735)*

**4.** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა, თუ მათი რაოდენობა აღემატება აკრედიტაციის შედეგად მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობას, აგრეთვე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა მიმღებ დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე შესაძლებელია, თუ: *(1.08.2006 N735)*

ა) არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ;

ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდება, რომ პირს ათვისებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

## მუხლი 23. გარდამავალი დებულებები

*(29.06.2006 N 641)*

1. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული გამოცდების ცენტრის შექმნამდე მის ფუნქციებს ასრულებს სა-

ჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

**2.** საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული პირების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვა/აღდგენა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე, ნებადართულია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**3.** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმის განსასაზღვრად, თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სწავლას სტუდენტი, გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის თაობაზე წერილობითი მოტივირებული დასკვნის შესაბამისად, რომელშიც მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

**4.** ამ დებულების 221-ე მუხლით დადგენილი წესით ხორციელდება აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული იმ პირების ჩარიცხვა/აღდგენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლე-

ბიც კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულნი იყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, არა უმეტეს 3 წლის წინ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გაირიცხნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით და გარიცხვიდან სულ მცირე 2005 წლის 10 იანვრამდე ირიცხებოდნენ უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად.

**5.** 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულა ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ არის ძალაში მომდევნო წლებისათვის. აბიტურიენტი, რომელსაც 2005 წელს ჩაბარებული აქვს გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2006 წელს თავისუფლდება ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარებისათვის.

**6.** ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილი საფასური ამოქმედებულად ჩაითვალოს 2006 წლის 1 იანვრიდან.

**7.** აბიტურიენტი, რომელმაც 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მაგრამ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ვერ ჩაირიცხა მის მიერ ფაკულტეტების რეიტინგულ ჩამონათვალში მითითებულ ვერცერთ ფაკულტეტზე, უფლება აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი გამოიყენოს იმ შემ-

თხვევაში, თუ  უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებ-ულებაში ჩაირიცხება 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

**8.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შე-სახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში, უფ-ლებამოსილი არის გავიდეს ერთიან ეროვნულ გა-მოცდაზე. ამ სტუდენტზე ვრცელდება ამ დებულების მე-20 მუხლის მე-4-6 პუნქტები.